BAG
ინდექსი

BAG
საქართველოს ბიზნეს ასოციაცია
BUSINESS ASSOCIATION OF GEORGIA

ifo INSTITUTE
Leibniz Institute for Economic Research
at the University of Munich

PMCG Research

BAG ინდექსი

ბიზნესის
კლიმატი

დასაქმების
ბარომეტრი

ინვესტიციების
კვლევა

I კვარტალი
2021

სარჩევი

BAG ინდექსი 1

BAG ბიზნეს კლიმატი 1

BAG ბიზნეს კლიმატი სექტორების მიხედვით 3

დასაქმება, გაყიდვები და გაყიდვების ფასები სექტორების მიხედვით 5

ბიზნესსაქმიანობისთვის ხელის შემშლელი ფაქტორები 8

დაფინანსება 9

მოლოდინი გაცვლითი კურსის შესახებ 10

BAG დასაქმების ბარომეტრი 12

BAG ინვესტიციების კვლევა 14

BAG ინდექსი

მომზადებულია პიემსი კვლევითი ცენტრის და ifo Institute-ის მიერ

საქართველოს ბიზნეს ასოციაციის (BAG) ინდექსი საქართველოს ბიზნეს ასოციაციის, პიემსი კვლევითი ცენტრისა და ifo ეკონომიკური კვლევების ინსტიტუტის ერთობლივი პროდუქტია. BAG ინდექსი მოიცავს BAG-ის წევრებისა და მათ ჯგუფში შემავალი კომპანიების[1] მმართველი მენეჯერების შეფასებას BAG ბიზნეს კლიმატის, BAG დასაქმების ბარომეტრის და BAG საინვესტიციო გარემოს შესახებ. პიემსი კვლევითი ცენტრი BAG ინდექსს აქვეყნებს ყოველკვარტალურად.

BAG ბიზნეს კლიმატი

BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი გამოითვლება BAG-ის წევრი და მათ ჯგუფში შემავალი კომპანიების გამოკითხვის საფუძველზე. კითხვარის მეშვეობით კომპანიები აფასებენ თავიანთ მიმდინარე მდგომარეობას და მომდევნო ექვსი თვის მოლოდინს.[2] კომპანიები, ასევე, აფასებენ გაყიდვების, გაყიდვების ფასების და დასაქმებულთა რაოდენობის ცვლილებას გასულ კვარტალში და მოლოდინს მომდევნო კვარტლისთვის. დამატებით, კომპანიები ასახელებენ მათი ბიზნესსაქმიანობისთვის ხელის შემშლელ ფაქტორებს, აფიქსირებენ გაცვლითი კურსის შესახებ არსებულ მოლოდინს და აფასებენ ფინანსებზე ხელმისაწვდომობასა და საინვესტიციო გარემოს. აღნიშნული ინდექსის ფარგლებში, BAG-ის წევრები და მათ ჯგუფში შემავალი კომპანიები გადანაწილდა ოთხ სექტორში: ვაჭრობა, მომსახურება, მრეწველობა და მშენებლობა.

2021 წლის I კვარტალში, გამოკითხულმა კომპანიებმა თავიანთი მიმდინარე მდგომარეობა უარყოფითად, ხოლო მომდევნო ექვსი თვის მოლოდინი დადებითად შეაფასეს. 2021 წლის I კვარტალში, BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელმა 14.6 ქულა შეადგინა, მათ შორის, ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობის მაჩვენებელი -11.8, ხოლო ბიზნესის მოლოდინის მაჩვენებელი 44.9 ქულაა.

აღსანიშნავია, რომ 2021 წლის I კვარტალში, 2020 წლის IV კვარტალთან შედარებით, BAG ბიზნეს კლიმატი გაუმჯობესდა (27.3 პუნქტით). აღნიშნულ პერიოდში, გამოკითხული კომპანიების მიერ როგორც მიმდინარე მდგომარეობის შეფასება (გაიზარდა 18.2 პუნქტით), ასევე მომდევნო 6 თვის მოლოდინი (გაიზარდა 38.4 პუნქტით) მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა.

2021 წლის I კვარტლის შედეგები, ასევე, მნიშვნელოვნად არის გაუმჯობესებული 2020 წლის I კვარტალთან შედარებით, როდესაც BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი -46.3-ს, მიმდინარე მდგომარეობის შეფასება -44.5-ს, ხოლო მომდევნო 6 თვის მოლოდინის ქულა -47.4-ს შეადგენდა (იხილეთ გრაფიკი 1).

---

[1] 2021 წლის I კვარტალში BAG ინდექსის მეთოდოლოგიაში განხორციელდა ცვლილება, კერძოდ გაიზარდა გამოსაკითხი კომპანიების რაოდენობა: გამოსაკითხ კომპანიათა ბაზას დაემატა BAG-ის წევრების ჯგუფში შემავალი კომპანიები.

[2] საბალანსო მნიშვნელობა მიმდინარე მდგომარეობისთვის არის სხვაობა „კარგი" და „ცუდი" შეფასებების პროცენტულ წილებს შორის, ხოლო საბალანსო მნიშვნელობა მომდევნო ექვსი თვის მოლოდინისათვის არის სხვაობა „უფრო ხელსაყრელი" და „ნაკლებად ხელსაყრელი" შეფასებების პროცენტულ წილებს შორის. BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი წარმოადგენს ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობისა და მომდევნო ექვსი თვის მოლოდინის საბალანსო მნიშვნელობების ტრანსფორმირებულ საშუალოს. BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი შესაძლოა იყოს -100-სა და +100-ს შორის. +100 ნიშნავს, რომ ყველა გამოკითხული ბიზნესი მიმდინარე მდგომარეობას და მოლოდინს აფასებს დადებითად, ხოლო -100 ნიშნავს, რომ ყველა გამოკითხული ბიზნესი მიმდინარე მდგომარეობას და მოლოდინს აფასებს უარყოფითად.



გრაფიკი 1: BAG ბიზნეს კლიმატი, ბიზნესის მოლოდინი და ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობა

2021 წლის I კვარტალში, BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი **აღმასვლის ფაზაში** იმყოფება.



გრაფიკი 2: BAG ბიზნეს კლიმატი

გრაფიკი 2 საკოორდინატო სიბრტყეზე ასახავს დამოკიდებულებას ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობასა და ბიზნესის მომდევნო ექვსი თვის მოლოდინს შორის. თავის მხრივ, საკოორდინატო სიბრტყის მეოთხედები შესაბამისი სახელებით აღინიშნება, კერძოდ, აღმასვლა, ბუმი, დაღმასვლა და რეცესია:

- თუკი გამოკითხული კომპანიები ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობას აფასებენ უარყოფითად, ხოლო მომდევნო ექვსი თვის მოლოდინს დადებითად, BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი მოხვდება **„აღმასვლის“** მეოთხედში.
- თუკი გამოკითხული კომპანიები ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობას და მომდევნო ექვსი თვის მოლოდინს აფასებენ დადებითად, BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი მოხვდება **„ბუმის“** მეოთხედში.
- თუკი გამოკითხული კომპანიები ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობას აფასებენ დადებითად, ხოლო მომდევნო ექვსი თვის მოლოდინს უარყოფითად, BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი მოხვდება **„დაღმასვლის“** მეოთხედში.
- თუკი გამოკითხული კომპანიები ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობას და მომდევნო ექვსი თვის მოლოდინს აფასებენ უარყოფითად, BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი მოხვდება **„რეცესიის“** მეოთხედში.

BAG ბიზნეს კლიმატი სექტორების მიხედვით

2021 წლის I კვარტალში, სექტორებს შორის, BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი, მშენებლობის სექტორის გარდა, ყველა სექტორისთვის დადებითია (იხილეთ ცხრილი 1). აღსანიშნავია, რომ 2021 წლის I კვარტალში, 2020 წლის IV კვარტალთან შედარებით, ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი ყველა სექტორში გაუმჯობესდა, ხოლო ყველაზე მეტად – მომსახურების სექტორში (40 პუნქტით).

2021 წლის I კვარტალში, 2020 წლის IV კვარტალთან შედარებით, ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობის შეფასება ყველა სექტორში გაუმჯობესდა, მშენებლობის სექტორის გარდა (2.4 პუნქტით გაუარესდა). გაუმჯობესების მიუხედავად, მრეწველობის სექტორის გარდა, სხვა სექტორებში მიმდინარე მდგომარეობის შეფასება კვლავ ნეგატიურია.

რაც შეეხება ბიზნესის მომდევნო ექვსი თვის მოლოდინს, 2021 წლის I კვარტალში, ყველა სექტორისთვის მაჩვენებელი დადებითია. სექტორებს შორის ყველაზე ოპტიმისტური განწყობა მომსახურების სექტორში დაფიქსირდა. 2021 წლის I კვარტალში, 2020 წლის IV კვარტალთან შედარებით, მოლოდინის მაჩვენებელი ყველა სექტორში გაუმჯობესდა, მრეწველობის სექტორის გარდა (30.6 პუნქტით გაუარესდა).

ცხრილი 1: საბალანსო მნიშვნელობები სექტორების მიხედვით 2021 წლის I კვარტალში

	ბიზნეს კლიმატი	ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობა	ბიზნესის მოლოდინი
ვაჭრობის სექტორი	8.9	-19.4	41.7
მრეწველობის სექტორი	17.5	6.3	29.4
მშენებლობის სექტორი	-6.2	-35.7	28.6
მომსახურების სექტორი	23.3	-5.9	56.9
ყველა სექტორი	14.6	-11.8	44.9



გრაფიკი 3: ბიზნეს კლიმატი სექტორების მიხედვით 2021 წლის I კვარტალში

I კვ. 2020 – I კვ. 2021 პერიოდში, სექტორებს შორის, მრეწველობის სექტორის კომპანიებს ხშირ შემთხვევაში ბიზნეს კლიმატის უფრო პოზიტიური შეფასება ჰქონდათ, ვიდრე დანარჩენ სექტორებში შემავალ კომპანიებს. აღნიშნულს განაპირობებდა მრეწველობის სექტორში არსებული დადებითი მოლოდინი. მრეწველობის სექტორში, ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი 2020 წლის III კვარტლიდან მოყოლებული უმჯობესდება, თუმცა პანდემიამდე არსებულ მდგომარეობას ვერც 2021 წლის I კვარტალში დაუბრუნდა.



გრაფიკი 4: ბიზნეს კლიმატი, ბიზნესის მოლოდინი და ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობა ვაჭრობის, მომსახურების, მრეწველობის და მშენებლობის სექტორებში

I კვ. 2020 – I კვ. 2021 პერიოდში, სექტორებს შორის, უმეტესად, ბიზნეს კლიმატის ყველაზე უარყოფითი შეფასება მშენებლობის სექტორში ფიქსირდებოდა.

I კვ. 2020 – I კვ. 2021 პერიოდში, სექტორებს შორის, მიმდინარე მდგომარეობის ყველაზე უარყოფითი შეფასება, უმეტესად, მომსახურების და მშენებლობის სექტორში ფიქსირდებოდა. მოცემულ პერიოდში, ყველაზე ნაკლებად უარყოფითად მიმდინარე მდგომარეობას მრეწველობის სექტორში გამოკითხული კომპანიები აფასებდნენ (იხილეთ გრაფიკი 4).

დასაქმება, გაყიდვები და გაყიდვების ფასები სექტორების მიხედვით

დასაქმება: 2020 წლის მეოთხე კვარტლის შეფასება და მოლოდინი 2021 წლის მეორე კვარტლისთვის

- 2020 წლის IV კვარტალში, III კვარტალთან შედარებით, გამოკითხული კომპანიების მხოლოდ 11.1%-მა გაზარდა დასაქმებულთა რაოდენობა, 16.2%-მა კი – შეამცირა. გამოკითხულ კომპანიათა უმეტესობაში (72.7%) დასაქმებულთა რაოდენობა არ შეცვლილა.
- მშენებლობის სექტორში გამოკითხული კომპანიების 28.6% აცხადებს, რომ დასაქმებულთა რაოდენობა 2020 წლის IV კვარტალში, III კვარტალთან შედარებით, შემცირდა. დასაქმებულთა რაოდენობის შემცირება დააფიქსირეს მომსახურების სექტორში გამოკითხული კომპანიების 24%-მა, მრეწველობის სექტორში 5.9%-მა, ხოლო ვაჭრობის სექტორში – 5.6%-მა.
- გამოკითხული კომპანიების 28.9% თვლის, რომ 2021 წლის II კვარტალში, 2021 წლის I კვარტალთან შედარებით, დაქირავებულთა რაოდენობას გაზრდის, ხოლო 9.6% – კლებას ვარაუდობს. კომპანიათა უმეტესობა (61.5%) არ აპირებს დასაქმებულთა რაოდენობის ცვლილებას.
- გამოკითხულთა მცირე ნაწილი მომსახურების (3.9%), მრეწველობის (11.8%) და ვაჭრობის (13.9%) სექტორებში დასაქმებულთა რაოდენობის შემცირებას გეგმავს 2021 წლის II კვარტალში, 2021 წლის I კვარტალთან შედარებით.



გრაფიკი 5: დასაქმებულთა რაოდენობა ვაჭრობის, მრეწველობის, მშენებლობისა და მომსახურების სექტორებში.[3]

* წინასწარი შეფასება.

[3] დამრგვალების გამო ანგარიშში მოცემულ ზოგიერთ გრაფიკზე მონაცემთა ჯამი ზუსტად 100%-ის ტოლი არ არის.

გაყიდვები/მოთხოვნა/ადგილობრივი წარმოება: 2020 წლის მეოთხე კვარტლის შეფასება და მოლოდინი 2021 წლის მეორე კვარტლისთვის

- ვაჭრობის სექტორში გამოკითხული კომპანიების 52.8% აცხადებს, რომ კომპანიის გაყიდვები 2020 წლის IV კვარტალში, III კვარტალთან შედარებით, გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ მშენებლობის სექტორში გამოკითხული არც ერთი კომპანიისთვის გაყიდვები არ გაზრდილა.
- მრეწველობის სექტორში გამოკითხულთა 37.5%-მა განაცხადა, რომ მოთხოვნა მათ პროდუქციაზე, 2020 წლის IV კვარტალში, III კვარტალთან შედარებით, გაიზარდა.
- მომსახურების სექტორში გამოკითხული კომპანიების 36.7%-ისთვის ბრუნვა, 2020 წლის IV კვარტალში, III კვარტალთან შედარებით, გაიზარდა.
- მშენებლობის სექტორში გამოკითხული კომპანიების უმეტესობა (64.3%) გაყიდვების/მშენებლობების რაოდენობის ცვლილებას არ ვარაუდობს 2021 წლის II კვარტალში, 2021 წლის I კვარტალთან შედარებით.
- მრეწველობის სექტორში გამოკითხული კომპანიების 76.5% თვლის, რომ ადგილობრივი წარმოება გაიზრდება 2021 წლის II კვარტალში, 2021 წლის I კვარტალთან შედარებით.
- მომსახურების სექტორში გამოკითხული კომპანიების დიდი ნაწილი (62.7%) მოელის გაყიდვების ზრდას 2021 წლის II კვარტალში, 2021 წლის I კვარტალთან შედარებით, ხოლო ვაჭრობის სექტორში გამოკითხულთა 47.2% მოელის შეკვეთების მოცულობის ზრდას.



გრაფიკი 6: გაყიდვები, ადგილობრივი წარმოება და მოთხოვნა ვაჭრობის, მრეწველობის, მშენებლობისა და მომსახურების სექტორებში

გაყიდვების ფასები: 2020 წლის მეოთხე კვარტლის შეფასება და მოლოდინი 2021 წლის მეორე კვარტლისთვის

- გამოკითხულთა თითქმის მესამედმა (28.7%) განაცხადა, რომ 2020 წლის IV კვარტალში, III კვარტალთან შედარებით, ფასები გაზარდა, ხოლო 58.3%-მა ფასები უცვლელად შეინარჩუნა. კომპანიების 13% კი აცხადებს, რომ აღნიშნულ პერიოდში ფასები შემცირდა.
- 2020 წლის IV კვარტალში, III კვარტალთან შედარებით, ვაჭრობის სექტორში გაყიდვების ფასები გამოკითხულთა 47.2%-მა გაზარდა, მრეწველობის სექტორში - 41.2%-მა, ხოლო მშენებლობის და მომსახურების სექტორებში შესაბამისად - 15.4%-მა და 14.3%-მა.
- გამოკითხული კომპანიების 45.3% ვარაუდობს გაყიდვების ფასების ზრდას, 2021 წლის II კვარტალში, 2021 წლის I კვარტალთან შედარებით, მაშინ როცა 50.9% არ ელოდება ამ მაჩვენებლის ცვლილებას, ხოლო 3.8%-ის მოლოდინია რომ ფასები დაიკლებს.
- გამოკითხულთა მცირე ნაწილი მრეწველობის (11.8%), მომსახურების (9.8%) და მშენებლობის (7.1%) სექტორებში მოელის გაყიდვების ფასების შემცირებას 2021 წლის II კვარტალში, 2021 წლის I კვარტალთან შედარებით. ხოლო ვაჭრობის სექტორში გამოკითხული არც ერთი კომპანია არ ვარაუდობს გაყიდვების ფასების შემცირებას.
- გამოკითხულთა უმრავლესობა მომსახურების (58.8%) და მშენებლობის (57.1%) სექტორებში არ მოელის გაყიდვების ფასების ცვლილებას 2021 წლის II კვარტალში, 2021 წლის I კვარტალთან შედარებით. ვაჭრობის და მრეწველობის სექტორებში მსგავსი მოლოდინი, შესაბამისად, 34.3%-ს და 29.4%-ს აქვს.



გრაფიკი 7: გაყიდვების ფასები ვაჭრობის, მრეწველობის, მშენებლობისა და მომსახურების სექტორებში

ბიზნესსაქმიანობისთვის ხელის შემშლელი ფაქტორები

2021 წლის I კვარტალში, 2020 წლის IV კვარტალთან შედარებით, 5 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 74% შეადგინა იმ კომპანიების წილმა, რომლებიც თვლიან, რომ მათი ბიზნესსაქმიანობისათვის არსებობს ხელის შემშლელი ფაქტორები. კლების მიუხედავად, აღნიშნული მაჩვენებელი კვლავ არ დაბრუნებულა პანდემიამდე (2019 წლის IV კვარტალი) არსებულ დონემდე, როცა კომპანიათა 69% თვლიდა, რომ მათი ბიზნესსაქმიანობისთვის არსებობდა ხელის შემშლელი ფაქტორები. აღნიშნული ზრდა, 2021 წლის I კვარტალში, 2019 წლის IV კვარტალთან შედარებით, სწორედ პანდემიით არის გამოწვეული.



გრაფიკი 8: ბიზნესისთვის ხელის შემშლელი ფაქტორების არსებობა

2021 წლის I კვარტალში, წინა პერიოდების მსგავსად, ბიზნესსაქმიანობისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ხელის შემშლელი ოთხი ფაქტორია: სამართლებრივი და ადმინისტრაციული ბარიერები, პროდუქციასა თუ მომსახურებაზე მოთხოვნის სიმცირე, შეზღუდული ფინანსური რესურსები და სპეციალისტების ნაკლებობა (იხილეთ გრაფიკი 9).

მოცემულ კვარტალში, პრობლემათა შორის პირველი ადგილი სამართლებრივმა და ადმინისტრაციულმა ბარიერებმა დაიკავა (68%). აღსანიშნავია, რომ 2020 წლის ოთხივე კვარტალში, ხელის შემშლელ ფაქტორებს შორის პირველ ადგილს ყოველთვის მოთხოვნის სიმცირე იკავებდა (იხილეთ გრაფიკი 10).



გრაფიკი 9: ძირითადი ხელის შემშლელი ფაქტორები გამოკითხული კომპანიებისთვის 2021 წლის I კვარტალში

გამოკითხვის თანახმად, COVID-19-ით გამოწვეული შეზღუდვები არის მთავარი ფაქტორი, რატომაც სახელდება სამართლებრივი და ადმინისტრაციული ბარიერები ხელის შემშლელ ფაქტორებს შორის. მეორე და მესამე ადგილს კი მარეგულირებელი გარემო და სასამართლოს სისტემა იკავებენ.

პანდემიის დაწყებამდე ჩატარებულ გამოკითხვაში, კომპანიათა წილი, რომლებიც, სამართლებრივ და ადმინისტრაციულ ბარიერებს ხელის შემშლელ ფაქტორად ასახელებდა 34%-ს შეადგენდა. 2021 წლის I კვარტალში, პანდემიამდე არსებულ მდგომარეობასთან შედარებით, აღნიშნული მაჩვენებელი 34 პროცენტული პუნქტით არის გაზრდილი. ხოლო იმ კომპანიათა წილი, რომლებიც მოთხოვნის სიმცირეს ასახელებდნენ ხელის შემშლელ ფაქტორად 37 პროცენტული პუნქტით გაიზარდა. ამასთან, აღნიშნულ პერიოდში კომპანიათა წილი, რომელთათვისაც სპეციალისტების ნაკლებობა წარმოადგენდა გამოწვევას, 13 პროცენტული პუნქტით შემცირდა.



გრაფიკი 10: ძირითადი ხელის შემშლელი ფაქტორები გამოკითხული კომპანიებისთვის

დაფინანსება

2021 წლის I კვარტალში, გამოკითხულ კომპანიათა 59%-მა სცადა დაფინანსების მოძიება ბოლო პერიოდში. აღნიშნული კომპანიების 36%-ის განცხადებით, მათთვის ფინანსებზე წვდომა პრობლემას წარმოადგენს. რაც შეეხება ბიზნესის დაფინანსების წყაროებს, კომპანიათა 68%-ის განცხადებით ისინი ფინანსდებიან ადგილობრივი წყაროებიდან, ხოლო 3%-ის განცხადებით მათი დაფინანსების წყარო უცხოურია.[4]



გრაფიკი 11: დაფინანსების მოძიება

[4] 2021 წლის I კვარტალში ინდექსის მეთოდოლოგიაში განხორციელებულმა ცვლილებამ (გამოსაკითხი კომპანიების ბაზის გაზრდამ) გავლენა იქონია ბიზნესის დაფინანსების წყაროების სტრუქტურაზე. სხვა მაჩვენებელზე მეთოდოლოგიურ ცვლილებას არსებითი გავლენა არ ჰქონია.



გრაფიკი 12: ფინანსებზე წვდომა[5]



გრაფიკი 13: დაფინანსების წყაროები

მოლოდინი გაცვლითი კურსის შესახებ

2021 წლის I კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, მნიშვნელოვნად შემცირდა იმ კომპანიების წილი, რომლებსაც მომდევნო 6 თვეში ლარის აშშ დოლართან გაცვლითი კურსის გაუფასურების მოლოდინი აქვთ. თუმცა, ეროვნული ვალუტის გაუფასურებას კვლავ კომპანიათა უმრავლესობა (52%) მოელის.

ასევე, წინა კვარტალთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაიზარდა იმ კომპანიების პროცენტული წილი, რომლებიც ფიქრობენ, რომ ეროვნული ვალუტის კურსი აშშ დოლართან მიმართებაში არ შეიცვლება.

[5] კითხვას პასუხი გასცა გამოკითხულთა მხოლოდ იმ ნაწილმა, რომელმაც უკანასკნელ პერიოდში სცადა ფინანსების მოძიება.



გრაფიკი 14: ლარის აშშ დოლართან გაცვლითი კურსის ცვლილების მოლოდინი

ლარის გაცვლით კურსთან მიმართებით გაუმჯობესებული მოლოდინი, შესაძლოა, დავუკავშიროთ გამოკითხულ კომპანიებს შორის არსებულ ოპტიმისტურ მოლოდინს მომავალი პერიოდის მიმართ. გამოკითხული კომპანიების უმრავლესობა მომავალ სამ თვეში ელის მათი გაყიდვების, ადგილობრივი წარმოებისა და შეკვეთების მოცულობის ზრდას.

BAG დასაქმების ბარომეტრი

BAG დასაქმების ბარომეტრი ასახავს კომპანიების მოლოდინს მომავალ სამ თვეში დასაქმების სავარაუდო ცვლილების შესახებ.[6]

2021 წლის I კვარტალში გამოკითხულ კომპანიებს მომავალ სამ თვეში დასაქმების მიმართულებით დადებითი მოლოდინი აქვთ. BAG-ის დასაქმების ბარომეტრმა 14.7 ქულა შეადგინა. აღნიშნული მაჩვენებელი მნიშვნელოვნად არის გაუმჯობესებული როგორც 2020 წლის I კვარტალთან შედარებით (64.1 პუნქტით), ასევე, წინა – 2020 წლის IV კვარტალთან შედარებით (28.4 პუნქტით).



გრაფიკი 15: BAG დასაქმების ბარომეტრი

<u>აღსანიშნავია, რომ დასაქმების ცვლილების დადებითი მოლიდინი ფიქსირდება ოთხივე სექტორში (ვაჭრობა, მრეწველობა, მშენებლობა, მომსახურება).</u>

2021 წლის I კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, დასაქმების ბარომეტრის მაჩვენებელი ყველაზე მეტად მშენებლობის სექტორში გაუმჯობესდა, სადაც გამოკითხულ კომპანიათა 30.8% მომდევნო სამ თვეში დასაქმებულთა რაოდენობის ზრდას ვარაუდობს.

რაც შეეხება წლიურ ცვლილებას, აქაც აღსანიშნავია, რომ 2021 წლის I კვარტალში, 2020 წლის I კვარტალთან შედარებით, ყველაზე მეტად დასაქმების ბარომეტრი მშენებლობის სექტორში გაუმჯობესდა. 2020 წლის I კვარტალში მშენებლობის სექტორში გამოკითხული კომპანიების 80% დასაქმებულთა რაოდენობის შემცირებას გეგმავდა, მაშინ როცა 2021 წლის I კვარტალში, ამ სექტორში გამოკითხული კომპანიებიდან არც ერთი არ გეგმავს დასაქმებულთა რაოდენობის შემცირებას.

2021 წლის I კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, ვაჭრობისა და მომსახურების სექტორების დასაქმების ბარომეტრის მაჩვენებლები, მშენებლობის სექტორის მსგავსად, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. აღნიშნული გაუმჯობესება, შესაძლოა, დავუკავშიროთ ამ სექტორებში არსებულ ოპტიმისტურ მოლოდინს გაყიდვებისა და გაყიდვების ფასების ზრდასთან დაკავშირებით.

[6] კომპანიებს შეუძლიათ, დასაქმებულთა რაოდენობის შესახებ არსებული მომდევნო სამი თვის გეგმები აღწერონ, როგორც „მზარდი", „სტაბილური" ან „კლებადი". ამ გეგმების საბალანსო მნიშვნელობა გამოითვლება პასუხების - „მზარდი"-სა და „კლებადი"-ს პროცენტულ წილებს შორის სხვაობით. BAG დასაქმების ბარომეტრი არის სექტორების საბალანსო მნიშვნელობების შეწონილი საშუალო. BAG დასაქმების ბარომეტრის მნიშვნელობა შესაძლოა იყოს -100–დან +100–მდე. -100 ნიშნავს, რომ ყველა გამოკითხული ბიზნესი მომდევნო სამი თვის განმავლობაში მოელის დასაქმებულთა რაოდენობის შემცირებას, ხოლო +100 ნიშნავს, რომ ყველა გამოკითხული ბიზნესი მომდევნო სამი თვის განმავლობაში მოელის დასაქმებულთა რაოდენობის ზრდას.

რაც შეეხება მრეწველობის სექტორს, სხვა სექტორებისაგან განსხვავებით, 2021 წლის I კვარტალში, 2020 წლის IV კვარტალთან შედარებით, დასაქმების ბარომეტრი გაუარესდა.

ცხრილი 2: დასაქმების ბარომეტრი. საბალანსო მნიშვნელობები სექტორის მიხედვით

	IV კვ. 2019	I კვ. 2020	II კვ. 2020	III კვ. 2020	IV კვ. 2020	I კვ. 2021
ვაჭრობა	33.3	-45.0	5.6	12.5	-23.5	2.8
მრეწველობა	11.1	-25.0	0.0	16.7	20.0	17.6
მშენებლობა	50.0	-80.0	-28.6	14.3	-33.3	30.8
მომსახურება	14.6	-41.7	0.0	-5.0	-8.0	17.6
BAG დასაქმების ბარომეტრი	26.1	-46.7	-2.8	6.2	-13.7	14.7



გრაფიკი 16: BAG დასაქმების ბარომეტრი სექტორების მიხედვით

ინვესტიციების კვლევის ფარგლებში, რომელიც წელიწადში ორჯერ ტარდება, პიემსი კვლევითი ცენტრი აგროვებს მონაცემებს ინვესტიციების ტენდენციების შესახებ. აღნიშნული კვლევისთვის, გამოკითხული კომპანიები დაიყო ოთხ სექტორად (როგორც BAG ბიზნეს კლიმატის შემთხვევაში): ვაჭრობა, მომსახურება, მრეწველობა და მშენებლობა. 2021 წლის პირველ კვარტალში ჩატარებულმა კვლევამ მოიცვა BAG-ის წევრებისა და მათ ჯგუფში შემავალი კომპანიების მიერ 2020 წელს განხორციელებული ინვესტიციები და მათი გეგმები 2021 წლისთვის.

საინვესტიციო გარემო 2020 წელს

საერთო ჯამში, გამოკითხული კომპანიების 35.4%–მა განაცხადა, რომ 2020 წელს, 2019 წელთან შედარებით, მათ მიერ განხორციელებული ჯამური ინვესტიციების მოცულობა გაიზარდა. ამასთან, გამოკითხული კომპანიების 31%-მა განაცხადა, რომ აღნიშნულ პერიოდში მათ მიერ განხორციელებული ჯამური ინვესტიციების მოცულობა უცვლელი დარჩა, ხოლო დანარჩენი 33.6%-სთვის შემცირდა.

აღსანიშნავია, რომ მრეწველობის სექტორში კომპანიების მხოლოდ 6.3%-მა დააფიქსირა 2020 წელს, 2019 წელთან შედარებით, ჯამური ინვესტიციების შემცირება. ვაჭრობის, მშენებლობისა და მომსახურების სექტორებში ჯამური ინვესტიციების კლება, შესაბამისად, 44.4%, 35.7% და 34%-მა დააფიქსირა (დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ გრაფიკები 19, 20, 21 და 22).

რაც შეეხება ინვესტიციების ზრდას, ვაჭრობის სექტორში კომპანიათა 41.7%-ის განცხადებით, 2020 წელს, 2019 წელთან შედარებით, ჯამურმა ინვესტიციებმა იმატა. მრეწველობის სექტორში მოცემულ პერიოდში ჯამური ინვესტიციების ზრდა კომპანიათა 37.5%-მა დააფიქსირა, ხოლო მომსახურებისა და მშენებლობის სექტორებში, შესაბამისად 32%-მა და 28.6%-მა.



გრაფიკი 17: საინვესტიციო გარემო 2020 წელს

2020 წლის განმავლობაში, კომპანიების უმეტესობამ (44%) გაზარდა ინვესტიციები პროგრამულ უზრუნველყოფასა და მონაცემთა ბაზებში. ინვესტიციების ზრდა ყველაზე ნაკლებად შენობა-ნაგებობებში შეინიშნებოდა. ამ მიმართულებით ინვესტიციების ზრდა კომპანიათა მხოლოდ 23%-მა დააფიქსირა. რაც შეეხება მანქანა-დანადგარებს და აღჭურვილობას, ამ მიმართულებით კომპანიათა 38%-მა დააფიქსირა განხორციელებული ინვესტიციების წლიური ზრდა.

სექტორების მიხედვით, პროგრამულ უზრუნველყოფასა და მონაცემთა ბაზებში განხორციელებული ინვესტიციების მიხედვით, პროცენტულად ყველაზე მნიშვნელოვანი მატება მომსახურების სექტორში დაფიქსრიდა, სადაც კომპანიების 51.2%-მა გაზარდა ინვესტიციები აღნიშნული მიმართულებით.

რაც შეეხება შენობა-ნაგებობებში განხორციელებული ინვესტიციების ზრდას, აღსანიშნავია მშენებლობის სექტორი, სადაც კომპანიათა 30%-მა განაცხადა, რომ 2020 წელს, 2019 წელთან შედარებით, შენობა-ნაგებობებში განხორციელებული ინვესტიციები გაზარდა.

საინვესტიციო გეგმები 2021 წელს

2021 წლის პირველ კვარტალში გამოკითხული კომპანიების 51.3%-მა განაცხადა, რომ 2021 წელს, 2020 წელთან შედარებით, მათ მიერ ჯამურად განსახორციელებელი ინვესტიციების მოცულობა გაიზრდება. ამავდროულად, გამოკითხული კომპანიების 37.6% ჯამურად განსახორციელებელ ინვესტიციებში ცვლილებას არ მოელის, ხოლო 11.1% ინვესტიციების შემცირებას ვარაუდობს.

აღსანიშნავია, რომ სექტორებს შორის, ყველაზე პესიმისტური მოლოდინი 2021 წელთან დაკავშირებით მშენებლობის სექტორში ფიქსირდება. მშენებლობის სექტორში გამოკითხულ კომპანიათა მხოლოდ 43%-ს გეგმავს ჯამური ინვესტიციების ზრდას. ამავდროულად, მრეწველობის, მომსახურების და ვაჭრობის სექტორებში მსგავსი მოლოდინი გამოკითხულ კომპანიათა ნახევარს ან ნახევარზე მეტს აქვს (შესაბამისად 50%, 51%, და 55.6%).

რაც შეეხება ინვესტიციების კლებას, მსგავსი მოლოდინი კომპანიათა მცირე ნაწილს აქვს, კერძოდ, 2021 წელს, 2020 წელთან შედარებით, მშენებლობის სექტორში კომპანიების 21.4% პროგნოზირებს ჯამური ინვესტიციების კლებას. ვაჭრობის სექტორში მსგავსი მოლოდინი კომპანიების 16.7%-ს აქვს, მრეწველობის სექტორში – 6.3%-ს, ხოლო მომსახურების სექტორში – 5.9%-ს.



გრაფიკი 18: საინვესტიციო გეგმები 2021 წელს

დადებითი პროგნოზი ინვესტიციების ზრდასთან დაკავშირებით უფრო მეტად დაფიქსირდა პროგრამული უზრუნველყოფის/მონაცემთა ბაზების მიმართულებით, ხოლო შედარებით ნაკლებად – აღჭურვილობის მიმართულებით. გამოკითხულთა 50% მოელის, რომ 2021 წელს მათი ინვესტიციები გაიზრდება პროგრამული უზრუნველყოფის/მონაცემთა ბაზების მიმართულებით, ხოლო აღჭურვილობის მიმართულებით მსგავსი მოლოდინი 42.9%-ს აქვს. ამავდროულად, გამოკითხულთა მხოლოდ 37% თვლის, რომ 2021 წელს მათ მიერ შენობა-ნაგებობებში განხორციელებული ინვესტიციები გაიზრდება.



გრაფიკი 19: საინვესტიციო გარემო 2019 და 2020 წლებში და საინვესტიციო გეგმები 2021 წელს ვაჭრობის სექტორში (წლიური პროცენტული ცვლილება)



გრაფიკი 20: საინვესტიციო გარემო 2019 და 2020 წლებში და საინვესტიციო გეგმები 2021 წელს მრეწველობის სექტორში (წლიური პროცენტული ცვლილება)

* წინასწარი შეფასება.



გრაფიკი 21: საინვესტიციო გარემო 2019 და 2020 წლებში და საინვესტიციო გეგმები 2021 წელს მშენებლობის სექტორში (წლიური პროცენტული ცვლილება)



გრაფიკი 22: საინვესტიციო გარემო 2019 და 2020 წლებში და საინვესტიციო გეგმები 2021 წელს მომსახურების სექტორში (წლიური პროცენტული ცვლილება)

კონტაქტი:

ლეონიძის ქ.2, თბილისი, საქართველო

+995 32 2 202-215

info@bag.ge

Business Association of Georgia

www.bag.ge